საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე მოსხი

იოანე მოსხი (დაახლ. 550 – დაახლ. 634), ბიზანტიელი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბევრს მოგზაურობდა სირია-პალესტინის ქრისტ. კერებში თავის მოწაფესთან, სოფრომ პალესტინელთან ერთად.

თავიდანვე მიაჩნდათ, რომ იგი წარმოშობით მოსხი, ანუ მესხი იყო (როსვეიდი, ალოიზიუს ლიპომანუსი); ეს აზრი შემდეგ განავითარეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ისინი თვლიდნენ, რომ ი. მ. თავის თხზულებებს ბერძნ. და ქართ. ენებზე წერდა. შ. ნუცუბიძის აზრით, მას ეკუთვნის აგრეთვე ქართ. მოკლე რედაქცია თხზულებისა „სიბრძნე ბალავარისა".

ი. მ-ის სახელს უკავშირდება ბიზანტ. ლიტ-რაში ნოველის ჟანრის დამკვიდრება. ჩვენამდე მოაღწია მისი ნოველების კრებულმა, რ-საც ბერძნ. ვერსიაში „ლიმონარი" („მდელო"), ხოლო ქართ. ვერსიაში „სამოთხე" ეწოდება. არსებობს აგრეთვე არაბ. ვერსია „ბუსთანის" სახელწოდებით. ბერძნ. და ქართ. ვერსიების უძველესი ხელნაწერები X ს-ით თარიღდება.

თხზ.: ლიმონარი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1960; ალ-ბუსთანი, რ. გვარამიას *გამოც.*, თბ., 1965.

ლიტ.: Н у ц у б и д з е Ш. И., К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф», Тб., 1956.

რ. მიმინოშვილი